№ 942 კვირა, 17 ოქტომბერი. 1896—1899 კვირა, 17 ოქტომბერი № 942

რედაქცია და კანტორა ტფილისი, სასახლის ქ., სათ.-აზნაურთ ქარვასლი.
ხელის-მომწერნი გაზეთის დასაკეთებლად მიმართავენ ყოველ დილით 10—3 საათამდე და საღამოს 6—დან „წ. კ. საზ." წიგნის მაღაზია.
ხელ-მოუწერავ წერილებს რედაქცია არ ბეჭდავს.
პირისპირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველ დღე.
ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა

გაზეთის ფასი ერთის წლით 6 მან., ერთის თვით 60 კაპ.
ცალკე ნომერი 3 კაპიკი
ფასი განცხადებისა ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე—5 კ.

Типографія и Редакція „Цнобисъ Пурцели"
Тифлисъ, Дворцовая ул. д. Дворянства.
Телефонъ № 363

## წლის დამლევამდე
## გაზეთი „ცნობის ფურცელი"
ეღირება 2 მან.

კვირას, 17 ოქტომბერს, 1899 წ., დილის 11 საათზე, სათავად აზნაურო ბანკის დარბაზში, მოხდება წლიური, საზოგადო კრება ქართული დრამატიული საზოგადოებისა.

განსახილველია საგნები:

1, წლიური ანგარიში გამგეობისა.
2, საზოგადოების ხარჯთ-აღრიცხვა დამდეგი წლისათვის.
3, სარევიზიო კომისიის წევრთ არჩევანი.
4 საზოგადოების ახალ წევრთ არჩევანი. (4—2)

## ქართული თეატრი
### ხუთშაბათს, 21 ოქტომბერს,
დრამატიული საზოგადოების არტისტებისაგან

წარმოდგენილი იქნება: ახალი პიესა
ქ-ნ გაბუნია-ცაგარლის მონაწილეობით

### ფული და ხარისხი
კომედ 3 მოქ. თხზ. ქალბ. აზიანისა.
პირველი დებიუტი ანსტ. აბაშიძისა და ქალბ. აფხაზიშვილისა.

II

### მეფე და პოეტი
ისტორიული სურათი 1 მოქ. თხზ. ბინვილისა, თარგ. ი. ქყონიასი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

დასაწყისი 8 საათზე.

რეჟისორნი: ვ. აბაშიძე და ქ. მესხი.

## ნემენცების ბაღში
ქართული წარმოდგენა
კვირას, 17 ოქტომბერს,
ქართულ თეატრის აქტიორებისაგან წარმოდგენილი იქნება პირველად ახალი პიესა:

I

### გორელს სადილი აქვს
კომედია 1 სურათად.
იარმუკელების ცხოვრებიდან

II

### კაკა აწონა
კომედია 2 მოქმედებად.

დასასრულ დივერტისმენტი, ლეკური, ბაღდადური და სხვ.
ადგილების ფასი 30 კ. ვიდრე მანეთნახევრამდის.
დაიწყობა სწორეთ 8 საათზე, გათავდება 11 საათზე. უკანასკნელი კონკა გამოდის მუშტაიდიდან 11 საათზე. თეატრში თბილა.

გამგე შ. საფაროვი.

სამკურნალო და ამბულატორია
## ს. ვ. თოფურიასი
ქუთაისში.

სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი,

გადამდებ სენით ავადმყოფნი, არ მიიღებიან.

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს ს. ვ. თოფურია. საქირურგო თვალებ-ავადმყოფობას და სიფილისს ფ. ქ. გერრატი.

დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი ნ. თ. კობანი.

ამბულატორიასთან არის კაბინეტი. საქიმიო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვისა და მასაჟისათვის

სამკურნალოს დირექტორი ს. ვ. თოფურია

*Лѣчебница С. В Топурія* въ Кутаисѣ

## ახალი ამბავი

—

*** დრამატიული საზოგადოების კრება. დღეს დილის 11 საათზე სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში დანიშნულია დრამატიული საზოგადოების წლიური კრება; ეს კრება ხელმეორედ ინიშნება და რამდენიც უნდა წევრი დაესწროს მაინც კანონიერად ჩაითვლება

ეს კრება, სხვათა შორის, იმით იქნება საინტერესო, რომ აღიძრება ლაპარაკი იმ 2000 მანეთის შესახებ, რომელიც შესწირა ჩვენს დრამატიულს საზოგადოებას მთავარ-მართებელმა თავ. გ. ს. გოლიცინმა.

იმედია, ამ კრებას დიდძალი ხალხი დაესწრება.

*** კავკასიის რკინის გზათა გაყვანის უფროსად უმაღლესის მთავრობით დანიშნულ იქმნა ინჟინერი სახონსკი. ეხლა არ არის ბ-ნი სახონსკი მოადგილეთ იქნება ბ-ნ ვურცელისა, რომელმაც ყარსის რკინის გზა გაიყვანა.

*** ექიმი გიორგი ბროძელი, უმაღლესის ბრძანებით დაუნიშნავთ საგუბერნიო ექიმის თანაშემწედ. ბ-ნი ბროძელი აქნობამდე განაგებდა ახალგორის ავადმყოფთა ქსენონს. იმედია, ბ-ნი ბროძელი ამ ახალ თანამდებობაზედაც ისეთი მუყაითი და კეთილ სინდისიერი იქნება, როგორც იგი ცნობილია მთელს დუშეთის მაზრაში, სადაც ავერ რვა წელიწადი ეწევა სოფლის ექიმის მძიმე უღელს.

*** მღელვარება შავ ზღვაზე. როგორც გაზეთები იუწყებიან, შავს ზღვაზე ამ ხანებში საშინელი მღელვარებაა თურმე და ზოგ ნავთ სადგურში არც კი შედიან გემებიო, მაგალითად ოჩამჩირეში „გიორგი" გემი სრულებით არ შესულა თურმე.

*** ლოთრინგის პასტორს ბ-ნ პეტუროგატს გუშინ-წინ მართლ-მადიდებლობის სარწმუნოება მიუღია სასულიერო სემინარიაში.

*** მართლ-მადიდებელთა ამოსნების კრება. ორშაბათს ქალაქის საბჭოში უნდა შეკრბეს მართლ-მადიდებელნი ხმოსნები, რომელთაც უნდა ამოირჩიონ მნათენი სიონის სობორო და დიდუბის ღვთის მშობლის ტაძრისათვის. კრება შესდგება საღამოს შვიდ ნახევარ საათზე.

*** „და-ძმა" რუსულ სცენაზე. ჩვენ გვატყობინებენ, რომ ჩვენს ნიჭიერს არტისტს ვლ. ალექსი მესხიშვილს გადაუთარგმნია რუსულ ენაზე „და-ძმა", რომელიც თურმე თეატრალურ საცენზურო კომიტეტს გაუშინჯავს კიდეც და წარმოსადგენად ნება დაურთვია. პიესას ნოემბრის დამლევს ხარკოვის დრამატიული დასი აპირებს დადგმას, რისგამო მიუმართავთ ბ-ნი მესხიშვილისათვის ტანისამოსები და სხვა წვრილმანები გამოგვიგზავნეთო.

*** პარიზის გამოფენის კომიტეტი. რადგანაც ცოტა დრო დარჩა პარიზის გამოფენის დაწყებამდის, დაარსებული კომიტეტი ამ საქმისათვის, სთხოვს ყველა ქართველ მემამულეთა, რომელთა სურთ მიი-

ლონ მონაწილეობა, დააჩქარონ გამოგზავნა ნიმუშების თავიანთ მამულებ-სა, როგორც სიმინდისა, ღვინისა, ხორბლისა და სხვა. ეგრეთვე აბრეშუმისა, მატყლისა და სხვა ნიმუშები მადნეულობისა: როგორც თითბრისა, რკინისა, შავი ქვისა და სხვა სამკურნალო წყლებისა და ხე-ტყისა.

*** **ახალი წიგნი.** ჩვენ მივიღეთ ბ-ნი ქორგარეთლის მიერ შედგენილი და ნოტებზე გადაღებული „ქართული სახალხო სიმღერები“, გამოცემული წერა-კითხვ. გამავრ. საზოგადოებისაგან. წიგნი ფრიად სუფთად არის დაბეჭდილი მ. შარაძის სტამბაში, შეიცავს 108 გვერდს დიდის ზომისას და შედარებით ძრიელ იაფია — ღირს ათი შაური.

ამ წიგნის გამოცემა ფრიად სასარგებლოა და დროზედ მოსწრებულია. ეჭვი არარის ქართული საზოგადოება მადლობით მიიღებს წერა-კითხვის გამოცემას. ფრიად სასურველია. რომ ჩვენი ზეპირსიტყვაობა თუ სახალხო სიმღერები დრო გამოშვებით გამოიცემოდეს ხოლმე, თორემ რაც დრო გადის თან და თან იკარგება ხალხის გონებისა და გრძნობის წარმატება.

*** **ს. პატარა ჯიხაიში** (იმერეთი) ქალის მოტაცება და ჯვარის დაწერა. იქვე მახლობელ ს. ქუტირში მცხოვრები გლეხი სილიბისტრო რუხაძე 23 სექტემბერს ამა წელსა წავიდა ს. პატარა ჯიხაისში მცხოვრების გლეხის პავლე აბზიანიძის ქალი-შვილის მოსატაცებლად თან წაიყვანა თანაშემწეებად ძმა მისი ვლადიმერა, და ბიძა მისი გიორგი რუხაძეები, აგრეთვე იმ პავლეს მეზობელი რეადენ აბზიანიძე, მოსატაცებელი ქალი ყოფილა სტუმრათ ს. გოჩა ჯიხაისში მოყვრისას პეტრე კიკაჩეიშვილის ოჯახში. ეტლი გააჩერეს ჭიშკართან ჩავიდნენ ხსენებულ კიკაჩეიშვილის ოჯახში, ერთში იმათგანი შესულა სახლში და სამი ფანჯარასთან გარეთ გაჩერებულა აბზიანიძის ასული ფანჯრიდგან გადმოიყვანეს თუმცაღა მასპინძელი ბევრს ჰკიოდა ქალის მოტაცებაზე, მაგრამ ვერაფერს გახდა, მოულოდნელ მომტაცებლებთან. ქალი ეტლით საღამოჟამს წაიყვანეს დ. სამტრედიისაკენ, სადაც ქალი ერთ ნაცნობ ოჯახში მიაბარეს. იმავე საღამოს გაიგო რა ეს გარემოება ქალის მამამ პავლე აბზიანიძემ, მაშინვე გაიქცა ადგილობრივ მამასახლისთან და მოახსენა ეს ამბავი ღანირის საზ. მამასახლისმა ალექსი ქელიძემ, რა ესრეთი გარემოება გაიგო მაშინვე მიიღო პოლიციური ზომა მომტაცებლების მონახვაზედ. მამასახლისი ბ. ქელიძე ხსენაბულის მეეტლით წავიდა დ. სამტრედიაში ქალაქის ბოქაულთან, მოახსენა ყოველივე და სთხოვა აღმოეჩინა მისთვის შემწეობა მომტაცებლების დაჭერაზედ, რადგანაც ისინი სამტრედიის ნაწილში იმალებოდნენ, ბოქაული მამასახლისიანად ერთად წავიდნენ და თან გაიყოლია მეეტლეც რომელიც მიუძღვა დ. სამტრედიის ზემოკედრით მახლობელ ოჯახში სოლომონ ჭანელიძის ს, სადაც ნახეს მოტაცებული ქალი და მომტაცებელნი. და როდესაც ბოქაულმა ჰკითხა ქალს ნებით თუ ძალით იქნა წაყვანილი, ამ კითხვაზედ ქალმა შეხედა იქვე თავის მამას მტირალს და შეძრწუნებულს რასაკვირველია უცბად ფიქრმა და სირცხვილმა გაურბინა გონებაში, როგორც მამისამ, აგრეთვე იქ დამსწრე პირებისამ და უპასუხა; არა ბატონო ძალა-უნებურად! შემდეგ ბოქაულმა შეკრიბა ცნობა და მომტაცებლები გავზავნა ხონის ნაწილის ბოქაულთან. ქალი მშობლებს ჩააბარეს და გამოძიება სწარმოებს შემდეგ ის აბზიანიძის ასული ხელ მეორედ კი თავისი სურვილით გადაყოლია სასიძო ს. რუხაძეს და 30 წარსულ სექტემბერს ჯვარი დაუწერიათ ს ქუტირში, და დასჯის ნაცვლად ჯვარისწერით დაუბოლოვებიათ საქმე.

სამსონ

# დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგანი).

**ლონდონი.** სამხედრო სამინისტრომ არა ოფიციალურად გაიგო, რომ ორი აფიცერი გუსარის რაზმისა და ექვსი აფიცერი დუბლინის რაზმისა ტყვედ წაიყვანეს ბოერებმაო. ჰფიქრობენ, რომ გუსართა მთელი ესკადრონი გლენკესთან ომის შემდეგ ბოერების მიერ ტყვედ იქმნა წაყვანილი. „Even News“-ს ლედი-მიტიდგან ატყობინებენ, რომ ამ გუსარებს, როდესაც ბოერებს გამოუდგნენ, გზა დაეკარგათ და მხოლოდ დილის წვალების შემდეგ დაბრუნდნენ უკანო. სამხედრო სამინისტრო ამ ამბის წინაალმდეგ აცხადებს, რომ ჩემ მიერ მიღებული არა ოფიციალური ცნობა უფრო მართალი უნდა იყოსო.

სამხედრო სამინისტრომ მიიღო დეპეშა ლედი-სმიტიან უაიტისა და ბოერების ბრძოლის შესახებ ინგლისელებს მოუკლეს 12 კაცი და დაუჭრეს—89.

**ბერლინი.** როგორც დილის გაზეთებს ბრიუსელიდგან დეპეშით ატყობინებენ, ლეიდს გამოუცხადებია ჟურნალისტებისათვის, რომ ბოერები თავისუფლებისათვის უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძოლებენ: მათ სიკვდილი ურჩევნიათ ინგლისის ქვეშევრდომობასაო.

**ლონდონი.** საზოგადოებათა პალატა. დევიტმა სთქვა, რომ აწინდელი ომი უდიდესი დანაშაულობაა ამ საუკუნეშიო. უკმაყოფილების ნიშნად დევიტმა რწმუნებულობას თავი გაანება.

**კუინსტონი.** სამხედრო გემები: „ფურიუსი“, „პელორუსი“ და „პაკტოლუსი“ ნაშუადღევს გავიდნენ აქედან. ფიქრობენ, რომ ეს გემები კლირთან რვა სხვა დიდს და ორ პატარა გემს შეუერთდებიან დაერთად გიბრალტარში წავლენო. როგორც ამბობენ, ეს ესკადრა ესპანიის ან პორტუგალიის ერთ-ერთ ნავთ-სადგურში შევა.

**ლონდონი.** „Times“-ს დეპეშით ატყობინებენ მეფკინგიდგან: „6 ოქტომბერს ბურების გენერალმა კრონიემ მეფკინგთან მყოფის თავისს ჯარის უდიდესი ნაწილი ქალაქს მოაშორა. ამბობენ, რომ სადღაც მახლობლად დიდი ბრძოლა მოხდა და ეს ჯარი იქ წავიდაო. ზოგნი იმას ჰფიქრობენ, რომ კრონიემ ჯარი დამალა, რათა ქალაქიდგან გამოიტყუოს ინგლისელნი და თავს დაესხასო.

**პარიზი.** „Matin“-ი ამბობს, გერმანიამ რომ წინადადება წამოაყენოს სამხრეთ აფრიკაში თანასწორობის დაცვის შესახებ, საფრანგეთი წინ არ აღუდგება ამ წინადადებასაო. საფრანგეთის მანდილოსანთა საზოგადოებამ დაადგინა გაგზავნოს ტრანსვაალში სამგზავრო საავადმყოფო და ხელის მოწერა გამართოს ომში დაჭრილ ტრანსვაალელთა სასარგებლოდ.

**ბადენ-ბადენი.** ხელმწიფე იმპერატორს, დედოფალ იმპერატრიცას, ჰესენის დიდ ჰერცოგს და ჰერცოგინიას ხვალ მოელოდებიან აქ.

**ლონდონი.** საღამოს გაზეთებში გამოქვეყნებულია გლენკედგან 17 ოქტომბერს მიღებული დეპეშა, რომელშიაც ნათქვამია, 9 ოქტომბრის გამარჯვების შემდეგ ინგლისელნი ჰფიქრობდნენ, რომ მოწინაალმდეგე ეხლა-კი მოგვასვენებსო, მაგრამ ეს იმედი არ გამართლდა. წინად ხმა გავრცელდა, რომ ამ ომში ბურებს ინგლისელებმა ყველა ზარბაზნები წაართვესო. მაგრამ როდესაც ჯარი ბრძოლის ველიდგან დაბრუნდა, აღმოჩნდა, რომ ეს ამბავი ტყუილია. ბურებს მანამდე წაუღიათ თავიანთი ზარბაზნები, ვიდრე ინგლისელნი გორაკს დაიჭერდნენ. როდესაც ინგლისელნი და ბურები შეხვდნენ ერთმანეთს, ტრანსვაალის ჩსროლელთა ჯარისა მხოლოდ ნაწილი-და იყო იქ, დანარჩენი ჯარი-კი სამშვიდობოზედ გასულიყო.

**პრეტორია.** გენერალის კრონიეს ჯარმა დილას ყუმბარები დაუშინა მეფკინგს. ქალებსა და ბავშვებს ვადა მიეცათ ქალაქიდგან გასასვლელად.

**პრეტორია.** ინგლისელთა ცხრა აფიცერი, რომელნიც პარასკევს ტყვედ მოჰყვნენ დენდისთან ბრძოლის შემდეგ, 12 ოქტომბერს აქ მოიყვანეს. ტყვეებს კარგად ექცევიან.

**პრეტორია.** 13 ოქტომბერს კრონიეს ჯარმა ხელ-ახლა დაუშინა ყუმბარები მეფკინგს. დღეს დილით რამდენსამე სახლს ცეცხლი წაეკიდა, ჟუბერი იუწყება რომ კრონიე 12 ოქტომბერს შეხვდა ელანსლააგტედგან მომავალ ინგლისის ჯარს. ბრძოლამ, დილის 9 საათიდგან დაწყობილმა, 7 საათამდე გასტანა. ათი კაცი მოკლულ იქმნა, ხოლო ექვსი დაჭრილი. ინგლისის ჯარი ლედი-სმიტისკენ გაქცეული. მეორე ოფიციალური ანგარიში იუწყება, რომ იოგანესბურგის რაზმსა და ჰოლანდელთა კორპუსს დიდი ბრძოლა მოუხდა მრავალ-რიცხოვან ინგლისის ჯართანაო. ეს ბრძოლა ელანდსლააგტესთან მოხდაო. ბრძოლამ 12 საათი გასტანა. 100 ბური მოკლული და დაჭრილი. ორასამდე კაცი აკლია ჯარსაო.

**ლონდონი.** პრეტორიიდგან იუწყებიან, რომ 8 ოქტომბერს დენდისთან ბრძოლა დაიწყო დილის 5 საათზედ და დასრულდა ნაშუადღევის 2 საათზედ. ბოერებს ძნელად ასაღები ადგილი ეჭირათ, მაგრამ რაკი ინგლისელებმა ერთი ზარბაზანი წაართვეს, ბოერებმა უკან დაიწიეს. 9 ოქტომბერს დილით ბრძოლა განახლდა დენდისა და პლენკეს მახლობლად ამ ბრძოლაში რამდენიმე რაზმმა მიიღო მონაწილეობა.

**ლონდონი.** ლედი-სმიტიდგან მოსული დეპეშა გენერალ უაიტისა იუწყება, რომ გენერალ იულის ჯარი დიდის გაჭირვების შემდეგ დღეს, 13 ოქტომბერს, მოვიდა აქაო. ჯარი თუმცა დაღლილია მაგრამ მაინც კარგადა გრძნობს თავს, მხოლოდ დასვენებას ჰსაჭიროობს. მოწინააღმდეგემ ოდნავ შეაწუხა გზაშიო.